ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე - კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.06.2016

საჩივრის რეგისტრაციის №044/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. მ. -ის მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. მ. -სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 06 ივნისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. ნ. -მ და მოითხოვა ადვოკატ გ. მ. -სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის 07 მაისს მასსა და ადვოკატ გ. მ. ს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადაუხადა ჰონორარი ეტაპობრივად, სულ – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

1.3 მომჩივანის განმარტებით, მან ადვოკატს თანხა ზეგავლენით ვაჭრობის გამო გადაუხადა. ადვოკატი არწმუნებდა, რომ მისი ახლო მეგობრები იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები და მათი ჩარევით მისი საქმე გადაწყდებოდა მის სასარგებლოდ. კერძოდ, ა. ნ. -ის სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც

ის ცნობილი იყო დაზარალებულად, ბრალდებულად და შემდგომ მსჯავრდებულად ცნობილ პიროვნებების მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები დარჩებოდა ძალაში, მიუსჯიდა სამუდამო პატიმრობას ან/და შეძლებდა მათგან ა. ნ. -ის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული 1 379 133 (ერთი მილიონ სამოცდაცხრამეტიათას ასოცდაცამეტი) ლარისა და 39050 (ოცდაცხრამეტიათას ორმოცდაათი) ლარის გადახდევინებას. აღნიშნული განაჩენი საქმეში ადვოკატის მონაწილეობის გარეშე დადგა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა გ. მ. -მ არ იმოქმედა კლიენტის ინტერესების დასაცავად და მიისაკუთრა მისთვის ა. ნ. -ის მიერ გადახდილი თანხა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

1.5 2016 წლის 15 ივლისს საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა მის მიერ წერილობით საჩივარში აღწერილი ფაქტები. ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ადვოკატს მიმართა არა მისი კვალიფიციურობის გამო, არამედ იმიტომ რომ გ. მ. დაპირდა საქმის მოგვარებას მისი გავლენიანი მეგობრების დახმარებით. გ. მ. კლიენტს არწმუნებდა, რომ შეძლებდა ა. ნ. -ის მოვალეებისგან კლიენტის კუთვნილი თანხის მიღებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი აღნიშნულს ვერ შეასრულებდა, გადახდილ ჰონორარს – 10 000 (ათი ათასი) ლარს კლიენტს უკან დაუბრუნებდა.

1.6 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურება არ შეესაბამებოდა მის მიერ გ. მ. -სთვის გადახდილ ჰონორარს. ადვოკატმა მხოლოდ ოთხი განცხადება შეადგინა, რომლებიც განკუთვნილი იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის, საქართველოს მთავარი პროკურატურის კანცელარიისადმი, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტისათვის, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი, რაც წარმოადგენდა საადვოკატო საქმიანობას. ადვოკატმა არ გამართა ბრიფინგი, რომლის გამართვაც შედიოდა მის მოვალეობაში და ასევე გ. მ. -ს არ განუხორციელებია მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული სხვა მოვალეობები.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი გ. მ. საქმეზე შედეგს რომ არ დაპირებოდა, იგი ადვოკატს შეთანხმებულ თანხას არ გადაუხდიდა.

1.8 განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2016 წლის 07 ნოემბერს მომჩივანმა დაადასტურა საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გერემოებები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2016 წლის 14 ივნისს ადვოკატს პირადად ჩაბარდა საჩივარი, მაგრამ მას საჩივარზე განსაზღვრულ ვადაში წერილობითი ახსნა–განმარტება არ წარმოუდგენია. 2016 წლის 05 ივლისს ადვოკატ გ. მ. -ს ეთიკის კომისიის აპარატმა შეახსენა, რომ საჩივარი ჩაიბარა 14 ივნისს და წარმოსადგენი ჰქონდა წერილობითი ახსნა-განმარტება. ეთიკის კომისიის აპარატის მიერ ადვოკატს ასევე ეცნობა საპროცესო კოლეგიის სხდომის თარიღი - 2016 წლის 15 ივლისი. ადვოკატმა განაცხადა, რომ 15 ივლისს ჰქონდა სასამართლო პროცესი ქ. ბათუმში, რის გამოც ვერ გამოცხადდებოდა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ხოლო წერილობით ახსნა–განმარტებას 06 ივლისს გამოაგზავნიდა ეთიკის კომისიის ელ. ფოსტაზე. ამის შემდეგ ეთიკის კომისიის აპარატი შეეცადა ადვოკატ გ. მ. -ს ტელეფონის საშუალებით დაკავშირებოდა, თუმცა არაერთი მცდელობის მიუხედავად ადვოკატი ან არ პასუხობდა ზარებს ან თიშავდა ტელეფონს. ადვოკატ გ. მ.-ს ეთიკის კომისიის ელ. ფოსტით ეცნობა, რომ საპროცესო კოლეგიის სხდომა ჩაინიშნა 19 ივლისს. ეთიკის კომისიის აპარატმა

ადვოკატისგან 18 ივლისს 11:05 სთ-ზე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღო პასუხი, რომ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლებდა სხდომაზე დასწრებას და დღის ბოლომდე გამოაგზავნიდა ახსნა-განმარტებას, ითხოვა სხდომის 10 დღით გადადება და განმარტა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას 10 დღის შემდეგ წარმოადგენდა. ამავე დღეს 21:46 სთ-ზე ადვოკატმა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოიწერა, რომ ვერ მოახერხა ახსნა-განმარტების დასკანერება და აუცილებლად გამოაგზავნიდა. საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე ეთიკის კომისიას ადვოკატის წერილობითი ახსნა-განმარტება არ მიუღია.

2.2 საქმის განხილვის ეტაპზე სხდომის თარიღის შეტყობინების მიზნით, ეთიკის კომისიის აპარატი შეეცადა 2016 წლის 18 ოქტომბერს დაკავშირებოდა ადვოკატ გ. მ. -ს შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 598 XX XX XX; 599 XX XX XX; 595 XX XX XX; 579 XX XX XX. ადვოკატთან სატელეფონო საუბარი არ შემდგარა, რადგან ტელეფონის მოცემული ნომრები მუდმივად გამორთული იყო. სხდომის თარიღის თაობაზე აპარატმა ადვოკატს ყველა მოცემულ ნომერზე გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ასევე მიწერა ელექტრონულ ფოსტაზე, რომლითაც ის საქმის საპროცესო ეტაპზე განხილვისას უკავშირდებოდა ეთიკის კომისიას: g. ადვოკატს 2016 წლის 18 ოქტომბერს ასევე გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება სხდომის თაობაზე ადვოკატთა ერთიან სიაში და საქმეში არსებულ მისამართზე: რუსთავი, კ. ქ.. ადვოკატს ელექტრონული ფოსტაზე არ უპასუხია. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სხდომა გადაიდო 10 დღით და ჩაინიშნა 2016 წლის 07 ნოემბერს. ელექტრონული ფოსტიდან g. ეთიკის კომისიის აპარატმა 2016 წლის 04 ნოემბერს მიიღო ადვოკატის შეტყობინება, რომ ის იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოში პირად საქმეებზე, 20 ნოემბრამდე ვერ ჩამოვიდოდა და დააყენა შუამდგომლობა სხდომის 20 ნოემბრის შემდგომ ჩანიშვნის შესახებ. მომჩივანი არ დაეთანხმა ადვოკატის შუამდგომლობას. ადგილზე თათბირით განხილვის კოლეგიამ არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა და საქმე განიხილა 2016 წლის 07 ნოემბერს. ადვოკატს წერილობითი განმარტება საქმესთან დაკავშირებით არც განხილვის ეტაპზე წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2016 წლის 25 ივლისს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გ. მ. -ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი გ. მ. ა. ნ. -ს არ უწევდა საადვოკატო მომსახურებას კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, მისი საქმის დადებითი შედეგით დასრულებას შეპირდა, რაც მხარეთა შორის შეთანხმების დადების საფუძველი გახდა, არ აწვდიდა სწორ ინფორმაციას კლიენტს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ე“ და ,,თ“ ქვეპუნქტები; ამავე კანონის მე-5 მუხლის ,,ბ“ და ე“ ქვეპუნქტები; მე-6 მუხლი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-5, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი; მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი; მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. **საქმის ფატობრივი გარემოებები:**

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 2015 წლის 07 მაისს საქართველოს მოქალაქე ა. ნ. -სა (დამკვეთი) და ადვოკატ გ. მ. -ს (შემსრულებელი) შორის გაფორმდა ხელშეკრულება NXX–XXX საადვოკატო მომსახურების თაობაზე. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა: 2010 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ გი. (გი.) ნ.-ის და მის შვილს, მსჯავრდებულ გ. ნ. -ს დაეკისრა ა. ნ. -ის სასარგებლოდ 1 079 133 (ერთი მილიონ სამოცდაცხრამეტიათას ასოცდაცამეტი) ლარისა და 39050 (ოცდაცხრამეტიათას ორმოცდაათი) ლარის გადახდა. ხელშეკრულების თანახმად, „შემსრულებლის“ ვალდებულებას წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების გაწევა. 3.1 „შემსრულებელი“ მოვალეა (სისხლის და სამოქალაქო) სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა სახის სადაო პროცესში დაიცვას „დამკვეთის“ ინტერესები, მონაწილეობა მიიღოს ყველა ინსტანციის სასამართლო განხილვაში. „შემსრულებელი“ ვალდებულია კანონით გათვალისწინებული პროცესებით დააბრუნებინოს „დამკვეთს“ თანხა, რომელიც მას 2010 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო განაჩენით ეკუთვნის. 3.2 „შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას „დამკვეთის“ ინტერესები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს პროკურატურაში, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიაში. 3.3 „შემსრულებელი“ ვალდებულია საქმიდან გამომდინარე ჩაატაროს ტელეკომპანიების მეშვეობით „ბრიფინგები“ და შეხვედრები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

07.05.2015 წ. ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ Nxx-xxx

4.2 ხელშეკრულებით ადვოკატის ანაზღაურება განისაზღვრა შემდგნაირად: დამკვეთის ვალდებულებას წარმოადგენდა მომსახურეობის ანაზღაურების გადახდა. 4.1 „დამკვეთი“ მოვალეა გადაუხადოს „შემსრულებელს“ თანხა სამ ეტაპად: 3000 (სამი ათასი) + 3000 (სამი ათასი) + 4000 (ოთხი ათასი) ლარი. პირველი შენატანი 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, დამკვეთის მიერ გადაიხდება ხელშეკრულების ხელმოწერისას. მეორე შენატანი 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით გადაიხდება პირველი ეტაპის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, ხოლო ბოლო, მესამე შენატანი 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით გადაიხდება მეორე შენატანიდან ერთი თვის შემდეგ, წინამდებარე ორი ეტაპის წარმატებით დამთავრებისას. 4.2 საქმის წარმატებით დამთავრებისას „დამკვეთი“ ვალდებულია, საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით „შემსრულებელს“ გადაუხადოს დაბრუნებული თანხის 20 (ოცი) პროცენტი. 4.3 ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული სამი გადახდა მოხდება ნაღდი ანგარიშსწორებით ნოტარიუსის დამოწმებით. 4.1 პუნქტით გათვალისწინებული გადახდების საერთო ჯამი გამოაკლდება ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული შემსრულებლის ჰონორარის თანხას. 2015 წლის 02 ივნისს ა. ნ. -მ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ადვოკატ გ. მ. ს გადასცა თანხა ეტაპობრივად 3 000 (სამი ათასი), 3000 (სამი ათასი) ლარი (მიღება–ჩაბარების აქტები 02.06.2015, Nxxxxxxxxx). 2015

წლის 07 აგვისტოს ა. ნ. -მ ადვოკატ გ. მ. ს გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4000 (ოთხი ათასი) ლარი (მიღება–ჩაბარების აქტი 07.08.2015, Nxxxxxxxxx).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

07.05.2015 წ. ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ Nxx-xxx

02.06.2015, 07.08.2015, 07.08.2015 მიღება–ჩაბარების სამი აქტი

4.3 ადვოკატმა გ. მ. -მ 2015 წლის 25 მაისს მოქალაქე ა. ნ. -ის საქმესთან დაკავშირებით განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ადვოკატ გ. მ. -ის 2015 წლის 25 მაისის განცხადება საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიის თავმჯდომარის სახელზე
2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 15 ივნისის პასუხი Nxxxx ადვოკატ გ. მ. ს

4.4 2015 წლის 13 ივლისს ადვოკატმა გ. მ. -მ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროს პროკურორს. (კანცელარიის მიღების ბარათი, წერილის ნომერი xx/xx-xxxxx, 14.07.2015 გამომგზავნი: დაზარალებულ ა. ნ. -ის ადვოკატი გ. მ.)

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ადვოკატ გ. მ. -ის 2015 წლის 13 ივლისის განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროს პროკურორის სახელზე
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის მიღების ბარათი N xx/xx-xxxxx, 14.07.2015

4.5 2015 წლის 02 დეკემბერს ადვოკატმა გ. მ. -მ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ გ. მ. -ის 2015 წლის 02 დეკემბრის განცხადება საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე

4.6 2016 წლის 08 იანვარს ადვოკატმა გ. მ. -მ, ა. ნ. -ის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის პროკურატურას (2015 წლის 08 იანვრის განცხადება; ქალაქ

თბილისის პროკურატურის 2016 წლის 26 იანვრის N xx/xx–xxxx პასუხი ადვოკატ გ. მ. -ის განცხადებაზე)

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

4.7 ადვოკატი გ. მ. ადვოკატთა ერთიან სიაში რეგისტრირებულია მისამართზე: ქ. რუსთავი, კ. ქ., ტელეფონის ნომერი: xxx xx xx xx. მოცემულ მისამართებზე ადვოკატს გაგზავნილი შეტყობინებები არ ბარდება. ტელეფონის ნომერზე ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *ადვოკატთა ერთიანი სია*
2. დაბრუნებული საფოსტო გზავნილების საცნობარო ფურცლები

4.8 ა. ნ. -მ ვერ მიიღო საადვოკატო მომსახურების შესახებ Nxx–xxx 07.05.2015 წ. ხელშეკრულების შეთანხმების საგნით გათვალისწინებული შესრულება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ა. ნ. -ის განმარტებები ეთიკის კომისიაში საპროცესო და განხილვის ეტაპებზე (საპროცესო კოლეგიის 2016 წლის 15 ივნისის სხდომის ჩანაწერი, განხილვის კოლეგიის 2016 წლის 07 ნოემბრის განხილვის სხდომის ოქმი)

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. მ. -ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ე“ და ,,თ“ ქვეპუნქტები, მე-5 მუხლის ,,ბ“ და ,,ე“ ქვეპუნქტები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-5 მუხლები, მე-8 მუხლის მე-3, მე-5, მე-13, მე-15 ნაწილები.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წესდების მე–9 მუხლის 9.2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ასოციაციის წევრი მოვალეა ,,ასოციაციას წარუდგინოს ინფორმაცია მისი საცხოვრებელი ადგილის და საადვოკატო ბიუროს მისამართების, საკონტაქტო ტელეფონის ცვლილების შესახებ მისი წარმოშობიდან 2 კვირის ვადაში.“ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–15 მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, ,,შეტყობინება ადვოკატს ბარდება განმცხადებლის მიერ მითითებულ მისამართზე. თუ ამ მისამართზე ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელია, შეტყობინება იგზავნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ მონაცემებში არსებულ ადვოკატის მისამართზე. ამ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუნდაც

ადვოკატი აღარ იმყოფებოდეს ამ მისამართზე ან მან უარი განაცხადოს შეტყობინების ჩაბარებაზე.“ შესაბამისად, შეტყობინება ადვოკატ გ. მ. სთვის ჩაბარებულად ითვლება და განხილვის კოლეგია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ა. ნ. -ის საჩივარზე.

6.2 განხილვის კოლეგიამ შეიწავლა მასალები, ჩაატარა განხილვის სხდომა და კომუნიკაციას შეეცადა ადვოკატ გ. მ. -სთან, რომელმაც მიუხედავად არაერთი კონკრეტული მცდელობისა სხვა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, მათ შორის საჩივრის პირადად ჩაბარების შემდეგ არც საპროცესო და არც განხილვის კოლეგიას არ მიაწოდა ინფორმაცია მის წინააღმდეგ მიმართულ საჩივართან დაკავშირებით, ასევე არ გამოცხადდა განხილვის კოლეგიის სხდომებზე. განხილვის კოლეგიამ ყველა გონივრული სტანდარტით იმოქმედა, რათა ადვოკატს ესარგებლა დისციპლინური სამართალწარმოების დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლებით და მის წინააღმდეგ წარდგენილ საჩივარზე გამაქარწყლებელი მტკიცებულებებისა და პოზიციის წარდგენა შესძლებოდა. ეთიკის კომისიისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ადვოკატმა არ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია და განხილვის კოლეგია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ა. ნ. -ის საჩივარზე.

6.3 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ გ. მ. -ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.3.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ე“ და ,,თ“ ქვეპუნქტები: ,,ადვოკატის ვალდებულებაა: ე) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა; თ) ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.“

6.3.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ“ და ე“ ქვეპუნქტები: ადვოკატი ვალდებულია: ბ) ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები; ე) შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები.“

6.3.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: ,,კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.“

6.3.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: ,,ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

6.3.5 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.“

6.3.6 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.3.7 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი: ,,ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება.“

6.3.8 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

6.4 ა. ნ. -ის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2015 წლის 07 მაისს ა. ნ. -სა (დამკვეთი) და ადვოკატ გ. მ. ს (შემსრულებელი) შორის გაფორმდა ხელშეკრულება Nxx–xxx საადვოკატო მომსახურების თაობაზე. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა: 2010 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ გ. ნ. -ს და მის შვილს, მსჯავრდებულ გ. ნ. -ს დაეკისრა ა. ნ. -ის სასარგებლოდ 1 079 133 (ერთი მილიონ სამოცდაცხრამეტიათას ასოცდაცამეტი) ლარისა და 39050 (ოცდაცხრამეტიათას ორმოცდაათი) ლარის გადახდა. ხელშეკრულების თანახმად, „შემსრულებლის“ ვალდებულებას წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების გაწევა. კერძოდ, 5.3.1 „შემსრულებელი“ მოვალეა (სისხლის და სამოქალაქო) სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა სახის სადავო პროცესში დაიცვას „დამკვეთის“ ინტერესები, მონაწილეობა მიიღოს ყველა ინსტანციის სასამართლო განხილვაში. „შემსრულებელი“ ვალდებულია კანონით გათვალისწინებული პროცესებით დააბრუნებინოს „დამკვეთს“ თანხა, რომელიც მას 2010 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო განაჩენით ეკუთვნის. 5.3.2 „შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას „დამკვეთის“ ინტერესები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს პროკურატურაში, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიაში. 5.3.3 „შემსრულებელი“ ვალდებულია საქმიდან გამომდინარე ჩაატაროს ტელეკომპანიების მეშვეობით „ბრიფინგები“ და შეხვედრები.

6.5 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. მ. -მ განახორციელა იურიდიული სახის მოქმედებები. კერძოდ, ადვოკატმა გ. მ. -მ 2015 წლის 25 მაისს მოქალაქე ა. ნ. -ის საქმესთან დაკავშირებით განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს. 2015 წლის 13 ივლისს ადვოკატმა გ. მ. -მ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროს პროკურორს (კანცელარიის მიღების ბარათი, წერილის ნომერი xx/xx-xxxxx, 14.07.2015 გამომგზავნი: დაზარალებულ ა. ნ. -ის ადვოკატი გ. მ.). 2015 წლის 02 დეკემბერს ადვოკატმა გ. მ. -მ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს. 2016 წლის 08 იანვარს ადვოკატმა გ. მ. -მ, ა. ნ. -ის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის პროკურატურას (2015 წლის 08 იანვრის განცხადება; ქალაქ თბილისის პროკურატურის 2016 წლის 26 იანვრის N xx/xx–xxxx პასუხი ადვოკატ გ. მ. -ის განცხადებაზე).

6.6 განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ორ გარემოებაზე: ა) მომჩივანის მიერ ადვოკატ გ. მ. -ის ადვოკატად მოწვევის მიზეზი არის თავად ადვოკატის მიერ არა საადვოკატო საქმიანობის გზით მისი უფლებების დაცვის/რეალიზაციის განხორციელების განმარტება, არამედ ძირითადად კანონისმიერი პროცედურების გარეშე შედეგის მიღების დაპირება; ბ) ადვოკატის

პროფესიული მოვალეობაა განუმარტოს კლიენტს სამართალწარმოების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტის მიზანი იყო ფულადი თანხების მიღება, აქ ნიშანდობლივია სისხლის სამართალწარმოების ამოცანები, რაც წლებია აღარ მდგომარეობს ქონებრივი ზიანის განხილვის ან მის ანაზღაურებაში. ყოველივე წარმოადგენს სამოქალაქო კერძო სამართალწარმოების საგანს. ადვოკატის მიერ განხორციელებული 5.4 პუნქტში ჩამოთვლილი იურიდიული მოქმედებები წარმოადგენს არა კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივ წარმოებას. ადვოკატმა კლიენტის დაცვის განხორციელებისათვის აირჩია საჯარო წარმოება - სისხლის და ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

6.7 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის კომპონენტია თავად განსაზღვროს კლიენტის ინტერესების დაცვის გზა და სტრატეგია, გამოიყენოს თავისუფლად დისკრეცია, თუმცა მოცემულ შემთხვევაში არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მომჩივან ა. ნ. -სა და ადვოკატ გ. მ. -ის შეთანხმების ერთ-ერთი საფუძველი არის მომჩივანის მოლოდინი, რომ მიიღებს ფულად ანაზღაურებას ადვოკატის მიერ კერძო ურთიერთობების გამოყენებით და თანაც საჯარო სამართალწარმოების უწყებებთან (პროკურატურა, საკონსტიტუციო სასამართლო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია) ურთიერთობის გზით. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ასეთი შეთანხმება და ადვოკატის მიერ კლიენტზე შექმნილი მოლოდინები, ასევე საქმიანობის არჩევის ფორმა აზიანებს ადვოკატის პროფესიულ ავტორიტეტს, საადვოკატო საქმიანობის მომხმარებელში ქმნის არაკვალიფიციურობის განცდას და რა თქმა უნდა აზიანებს ნდობას, რამაც გამოიწვია მომჩივანის მომართვაც ეთიკის კომისიისადმი.

6.8 კოლეგიის მოსაზრებით, ა. ნ. -სა და ადვოკატ გ. მ. ს შორის არსებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების პირობები შეიცავს გარანტიის ელემენტებს: 1. ადვოკატმა აიღო ვალდებულება კანონით გათვალისწინებული პროცესებით დააბრუნებინოს „დამკვეთს“ თანხა, რომელიც მას 2010 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო განაჩენით ეკუთვნის. 2. აღნიშნული ვალდებულების შესრულება ადვოკატმა გარკვეული ვადით შეზღუდა, კერძოდ ხელშეკრულების 6.2 პუნქტის თანახმად, შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის ეძლევა ვადა: მინიმალური - 06 (ექვსი) თვე, მაქსიმალური - 09 (ცხრა) თვე. 3. ხელშეკრულების 5.5 პუნქტით, ,,შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას სრულად დაუბრუნოს ,,დამკვეთს“ მოთხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში, მის მიერ გადახდილი ჰონორარი თუ ის სრულად არ დააკმაყოფილებს ,,დამკვეთის“ მიერ წამოჭრილ ამ კონკრეტულ პრობლემას. ხელშეკრულების საგანზე და ხელშეკრულების პირობებზე მოცემული სახით შეთანხმებით ადვოკატმა გ. მ. -მ კლიენტს მისცა გარანტია. კლიენტისათვის გარანტიის მიცემა ადვოკატს ეკრძალება. ადვოკატმა გ. მ. -მ კლიენტს სწორად არ განუმარტა თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონოდა ადვოკატისგან, ხელშეკრულების შინაარსი არ განუმარტა კლიენტს მისთვის გასაგები ფორმით მაშინ, როდესაც მომჩივანმა არ იცის სამართალი, არ იცის ქართული ენა და ადვოკატს ჰქონდა მომეტებული პასუხისმგებლობა, რომ არ დარღვეულიყო საქმის შედეგზე დაპირების მიცემის დაუშვებლობის პრინციპი. ადვოკატს უნდა განემარტა ა. ნ. -სთვის თუ რისთვის იღებდა საადვოკატო მომსახურების საზღაურს. ამასთან ადვოკატს ჰქონდა მატერიალური ინტერესი, კერძოდ ადვოკატმა წინასწარ მიიღო თანხა იმისდა მიუხედავად როგორი შედეგი დადგებოდა და შესაძლებელია ხელშეკრულების 5.5 პუნქტის მიხედვით, თანხა

კლიენტისათვის დასაბრუნებელი ყოფილიყო. ადვოკატმა გ. მ. -მ ფაქტიურად აიძულა კლიენტი მიეცა მისთვის სესხი და ვალდებულების შესრულებისთვის კონკრეტული ვადა დაუთქვა.

6.9 განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ასევე მომჩივანის მიერ ჰონორარის გადახდის საკითხზე. განხილვის კოლეგიის შეფასებით, მომჩივანმა ადვოკატს თანხა გადაუხადა იმისათვის, რომ ადვოკატის მიერ შესრულებული არაოფიციალური სახის მოქმედებების შედეგად ფულადი ანაზღაურების მიეღო. კომისია არაერთხელ განმარტავს, რომ საადვოკატო საქმიანობას წარმოადგენს: იურიდიული მოქმედებების განხორციელება (კლიენტისათვის რჩევის მიცემა, ასევე ნებისმიერი იურიდიული ხასიათის საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონით და რომელიც რეგულირდება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით), ასევე ყველა სახის სამართალწარმოებაში ჩართვას და კლიენტის ინტერესების წარმოდგენა. ადვოკატ გ. მ. -მ მომჩივან ა. ნ. -სთან ზემოთნახსენები შეთანხმებით კლიენტს შეუქმნა პროფესიული საქმიანობის არაოფიციალურობის, რომელსაც ფაქტიურად არ გააჩნია პასუხისმგებლობის იურიდიული მხარე, არაკვალიფიციურობის მოლოდინები და იმოქმედა იმდაგვარად რომ საფრთხე შეუქმნა პროფესიისადმი ნდობას. ადვოკატები კლიენტის ინტერესებს მხარს უჭერენ, ადვოკატირებენ ნებისმიერ უწყებასთან, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები და თავად არჩევენ რა გზით, რა საპროცესო საშუალებებს გამოიყენებენ, აქვთ შეხვედრები კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ყველა მოქმედებების საგანი და მოტივაცია უნდა გამომდინარეობს კანონიერების პრინციპიდან, იყოს ამ კუთხით საგნობრივი და შინაარსობრივად ჯდებოდეს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

6.10 კლიენტის მიერ მინდობილი ქონების აღრიცხვისა და დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულება მოიცავს ადვოკატისათვის კლიენტის მიერ გადაცემული თანხის საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუკიდებლად შენახვის, მისი კეთილსინდისიერად მართვის და კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულებას.

6.11 კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მინდობასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ 2012 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №004/12 დაადგინა, რომ ,,ადვოკატმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმერება კლიენტის მიერ მინდობილი ქონების მართვისას, რაც გულისხმობს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების საკუთარი ფულადი სახსრებისგან გამოცალკევებას და მათ მართვას კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან მოცემულ შემთხვევაში არსებობს კლიენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენების რისკი. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა უფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიისადმი კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული. ადვოკატის მიერ კლიენტისაგან მინდობილი ფულადი სახსრების პირადი მიზნებისთვის გამოყენება წარმოადგენს ადვოკატის მიერ როგორც კლიენტის პირადი ნდობის, ასევე პროფესიული ფიდუციარული ვალდებულებების დარღვევას."

6.12 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №003/12 დაადგინა, რომ ,,ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის, ამ უკანასკნელისათვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული

დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება.“

6.13 ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ,,საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.“

6.14 განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ადვოკატ გ. მ. -ის მომსახურების ანაზღაურების შეთანხმების წესზე. ხელშეკრულების თანახმად, დამკვეთის ვალდებულებას წარმოადგენდა მომსახურეობის ანაზღაურების გადახდა ეტაპობრივად. ადვოკატმა კლიენტისაგან ეტაპობრივად მიიღო 10 000 (ათი ათასი) ლარი ნაღდი ანგარიშსწორებით ნოტარიუსის დამოწმებით, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია არა საზღაურის რაოდენობა, არამედ თავად დანიშნულება. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა გარკვეული იურიდიული მოქმედებები განახორციელა მომჩივანთან შეთანხმების დადებისას, იკვეთება, რომ ჰონორარის გადახდის მოტივაცია იყო ადვოკატ გ. მ. -ის მიერ არაოფიციალური და დაპირებითი მხარე.

6.15 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ გ. მ. -ის მიერ მიღებული თანხა ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ადვოკატთან ვერ დარჩებოდა, ეს არ წარმოადგენს მიბარებულ თანხას, მაგრამ მას შემდეგ რაც, კლიენტმა ვერ მიიღო ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული შესრულება და გაირკვა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისგან მიღებული თანხა საადვოკატო მომსახურების საზღაურად არ გარდაიქმნა ადვოკატის ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული 09 თვის უშედეგოდ გასვლის გამო და ადვოკატს დასაბრუნებელი ჰქონდა მიღებული თანხა, აღნიშნული შინაარსით მოცემული თანხა მიბარებულ თანხას გაუტოლდა და

მასზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული რეგულაციები.

6.16 საქმის მასალებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით როგორც ირკვევა, ადვოკატს ურთიერთობის დასრულების შემდეგ კლიენტისათვის არ დაუბრუნებია მისგან მიღებული ფულადი სახსრები, იმის გათვალისწინებით, რომ მას უფლება აქვს კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. ეთიკის კომისია მიიჩნევს, ადვოკატს უფლება აქვს ის სავარაუდო თანხა, რაც შეიძლება ექვივალენტური იყოს ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურებისა, გამოქვითოს გადახდილი ჰონორარიდან, ხოლო დარჩენილი ნაწილი კი უნდა დაუბრუნდეს კლიენტს.

6.17 ეთიკის კომისიამ ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატმა კლიენტს მისცა საქმის შედეგზე დაპირება, არ დაუბრუნა თანხა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად და თვეებია არ აქვს კლიენტთან კომუნიკაცია. ადვოკატის არაეთიკური ქმედებები არა მხოლოდ კლიენტისათვის და ადვოკატის პროფესიული საქმიანობისათვის არის რისკის შემცველი, არამედ საფრთხეს უქმნის საზოგადოების ნდობას ადვოკატთა კორპუსის მიმართ. ეთიკის კომისიის 2007 წლის 19 ნოემბრის 3091/11/07 გადაწყვეტილებით: ,,რწმუნებაზე ხელმოწერით კლიენტი გამოხატავს ნდობას არა მხოლოდ ადვოკატის, არამედ მისი პროფესიის მიმართ.“ კომისიამ სახდელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის ზიანი, რაც ადვოკატმა ზემოაღნიშნული ქმედებით მიაყენა პროფესიას, რადგან ეთიკური ვალდებულებების დაცვა არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესებს ემსახურება, არამედ საადვოკატო საქმიანობასა და ზოგადად ადვოკატთა კორპუსისადმი ნდობითა და პატივისცემით გამსჭვალავს საზოგადოებას.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; მე-3 მუხლის ,,ე“ და ,,თ“ ქვეპუნქტებით, მე-5 მუხლის ,,ბ“ და ,,ე“ ქვეპუნქტებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით, მე-5 მუხლით, მე-8 მუხლის მე-3, მე-5, მე-13, მე-15 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, მე–40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №044/16 ადვოკატ გ. მ. -ის მიმართ /სიითი №xxxx/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ადვოკატ გ. მ. ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/